



ბრიუსელი 18.12.2015
COM (2015) 684 Final

**ევროკომისიის მიერ
ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოსთვის მომზადებული
ანგარიში**

**მეოთხე მიმდინარე ანგარიში საქართველოს მიერ
„სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ განხორციელების
შესახებ**

1. შესავალი

საქართველოსა და ევროკავშირის შორის **სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის შესახებ დიალოგი 2012 წლის ივნისში დაიწყო**, ხოლო 2013 წლის თებერვალში ევროკომისიამ საქართველოს მთავრობას „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა“ (VLAP) წარუდგინა. გეგმაში მოცემულია ტექნიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი საკითხებისთვის დადგენილი ზუსტი ნიშნულები (benchmarks), რომლებიც ოთხ ბლოკში¹ გაერთიანებული და მიზნად ისახავს საკანონმდებლო, პოლიტიკისა და ინსტიტუციური ჩარჩოს შექმნასა (ფაზა 1) და მის ეფექტურ და მდგრად განხორციელებას (ფაზა 2). იმისთვის, რომ ბიომეტრიული პასპორტების მქონე საქართველოს მოქალაქეებმა შეძლონ შენგენის ზონაში სავიზო განაცხადის გარეშე მოკლე ვადით გამგზავრება,² ეს ნიშნულები უნდა იქნეს მიღწეული.

2013 წლის ნოემბერში ევროკომისიამ მოამზადა პირველი მიმდინარე ანგარიში საქართველოს მიერ „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“³ შესრულების შესახებ⁴ და პირველი ფაზის (საკანონმდებლო და დაგეგმვის) დასასრულებლად მთავრობას რამდენიმე რეკომენდაცია მისცა. **2014 წლის ოქტომბერში ევროკომისიამ გამოაქვეყნა მეორე მიმდინარე ანგარიში**, რომელშიც ნათქვამია, რომ საქართველომ მიაღწია სამოქმედო გეგმის პირველი ფაზით გათვალისწინებული ნიშნულები და მზადაა მეორე ფაზაში გათვალისწინებული ნიშნულების შეფასების პროცესისთვის. 2014 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილებაში ევროკავშირის საბჭომ მოიწონა ევროკომისიის შეფასება. ანგარიშს თან ახლდა შეფასება საქართველოსთვის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პოტენციური ზეგავლენისა ევროკავშირზე მიგრაციისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით.

2014 წლის დეკემბერში საქართველომ განახლებული მიმდინარე ანგარიში წარმოადგინა. 2014 წლის დეკემბრიდან 2015 წლის მარტამდე, ევროკომისიის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით“ გათვალისწინებული ოთხივე ბლოკის შეფასება. საქართველოში ჩამოსული მისიების შემადგენლობაში იყვნენ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ექსპერტები, რომლებსაც დახმარებას უწევდა ევროკომისია, ევროკავშირის საგარეო სამსახური (EEAS) და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა. **საქართველოს მიერ „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ განხორციელების შესახებ მესამე მიმდინარე ანგარიში ევროკომისიამ 2015 წლის 8 მაისს გამოაქვეყნა.**⁵ ანგარიშში გათვალისწინებული იყო საქართველოს ხელისუფლების მიერ „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ მეორე ფაზის განხორციელების პროცესში მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატება და დადასტურებული იყო ასევე, რომ ოთხ ბლოკად დაჯგუფებული ნიშნულების დიდი ნაწილი შესრულებულია.

¹ესენია: (i) დოკუმენტების უსაფრთხოება, ბიომეტრიული დოკუმენტების ჩათვლით; (ii) საზღვრის ინტეგრირებული მართვა, მიგრაციის მართვა და თავშესაფარი; (iii) საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება; (iv) საგარეო საქმეები და ფუნდამენტური უფლებები.

²ბიომეტრიული პასპორტის მქონე პირებს შეუძლიათ ევროკავშირის წევრი ქვეყნების (გარდა გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიისა) და შენგენთან ასოცირებული ქვეყნების ტერიტორიაზე უვიზოდ შესვლა ან მათი ტრანზიტი 180 დღიდან არა უმეტეს ნებისმიერი 90 დღის განმავლობაში.

³COM(2013) 808 final

⁴COM(2015) 681 final

⁵COM(2015) 103 final.

თუმცა, ანგარიშში ასევე აღნიშნული იყო, რომ ჯერ კიდევ მოსაგვარებელია რამდენიმე საკითხი შემდეგ სფეროებში: მიგრაციის მართვა, თავშესაფრის პოლიტიკა, ადამიანთა ტრეფიკინგი, კორუფციასთან ბრძოლა, ფულის გათეთრება, ნარკოტიკები, სამართალდამცავი სტრუქტურები და მოქალაქეთა უფლებები.

წინამდებარი დოკუმენტი საქართველოს მიერ „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ განხორციელების მეოთხე მიმდინარე ანგარიშია. მასში ნაჩვენებია, **თუ როგორ შეასრულა საქართველოს ხელისუფლებამ „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ მესამე მიმდინარე ანგარიშში გათვალისწინებული დარჩენილი ნიშნულების მისაღწევად გაცემული რეკომენდაციები.** წინამდებარე ანგარიში დეტალურად აღარ განიხილავს იმ ნიშნულებს, რომლებიც წინა ანგარიშის მიხედვით მიღწეულად ჩაითვალა, რადგან მონიტორინგმა დადასტურდა, რომ მათი მიღწევის პროცესი გრძელდება.

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული ფაქტობრივი ინფორმაცია და შეფასებები ეფუძნება **ევროკავშირის შემფასებელი მისიების** მიერ ამა წლის 28 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე მოპოვებულ მასალებს იმ ოთხ სფეროში (მიგრაციის მართვა, კორუფციასთან ბრძოლა, თავშესაფარი და ადამიანთა ტრეფიკინგი), რომელშიც მუშაობდნენ ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლები, ევროკომისიის ოფიციალური პირები, ევროკავშირის საგარეო სამსახურისა (EEAS) და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის თანამშრომლები. ამ ოთხი სფეროსა და შესასრულებელი ნიშნულების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელი გახდა **ევროკომისიასთან, ევროკავშირის საგარეო სამსახურსა და საქართველოს მთავრობასთან შემდგომი შეხვედრებისა და კომუნიკაციის შედეგად,** ასევე იმ მიმდინარე ანგარიშების საფუძველზე, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებამ ევროკავშირის 2015 წლის 17 აგვისტოსა და 22 ოქტომბერს მიაწოდა.

ანგარიშს თან ერთვის „**ევროკომისიის აპარატის სამუშაო დოკუმენტი**“⁶, სადაც მოცემულია უფრო დეტალური ინფორმაცია თითოეული ნიშნულის მიწლევის პროცესში გაწეული სამუშაოს შესახებ. სამუშაო დოკუმენტის დანართში მოცემულია ევროკომისიის მიერ განხორციელებული ახალი ფაქტობრივი ანალიზი და სტატისტიკაზე დამყარებული ინფორმაცია საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზის **შესაძლო გავლენის შესახებ** ევროკავშირში არსებულ მიგრაციულ და უსაფრთხოების პროცესებზე. არსებული მონაცემები და ინფორმაცია გამოხატავს მიგრაციულ და უსაფრთხოების საკითხებში არსებულ ძირითად ტენდენციებს და აჩვენებს, რომ საქართველოდან წამოსული მიგრანტებისთვის ევროკავშირი კვლავაც რჩება მიმზიდველ ადგილად და რომ საჭიროა მიგრაციული და უსაფრთხოების სფეროდან მომდინარე პოტენციური გამოწვევების მონიტორინგი.

2. „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით“ გათვალისწინებული დარჩენილი ნიშნულების მიწლევის პროცესში გადადგმული ნაბიჯების შეფასება

2.1. ბლოკი 1: დოკუმენტების უსაფრთხოება, ბიომეტრიის ჩათვლით

⁶ COM(2015) 103 final.

დოკუმენტების უსაფრთხოების ნიშნული, ბიომეტრიის ჩათვლით, რომელიც დაკმაყოფილებულად ჩაითვალა მესამე მიმდინარე ანგარიშში, ახლაც შენარჩუნებულია.

2.2. ბლოკი 2: საზღვრის ინტეგრირებული მართვა, მიგრაცია და თავშესაფარი

2.2.1. საზღვრის ინტეგრირებული მართვა

საზღვრის ინტეგრირებული მართვის ნიშნული, რომელიც დაკმაყოფილებულად ჩაითვალა მესამე მიმდინარე ანგარიშში, ახლაც შენარჩუნებულია.

2.2.2. მიგრაციის მართვა

მას შემდეგ, რაც მესამე მიმდინარე ანგარიშში მიგრაციის მართვის შესახებ ნიშნული თითქმის მიღწეულად ჩაითვალა, საგრძნობი წინსვლა აღინიშნებოდა ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების საკითხში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული რისკების ანალიზის კონცეფცია გაფართოვდა და მიგრაციის ყველა სფერო მოიცვა. მიგრაციის საკითხთა სახელმწიფო კომისიის ფარგლებში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა 2015 წლის სექტემბერში დაასრულა ახალი და ყოვლისმომცველი „მიგრაციული რისკების ანალიზის სისტემაზე“ მუშაობა. ანალიტიკური ანგარიშების მომზადებაში შვიდი სახელმწიფო უწყება იქნება ჩართული. სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებიდან იმიგრაციის, ემიგრაციის და შიდა მიგრაციის შესახებ მონაცემების შეგროვება მიგრაციის ერთიანი ანალიტიკური სისტემის საშუალებით მოხდება. ელექტრონული საშუალებები მთელი სისტემის შემოღება საქართველოს მთავრობისა და ევროკავშირის თანადაფინანსებით განხორციელდა. სისტემის ტესტირება 2016 წლის შუა პერიოდშია დაგეგმილი. ყველა ეს საშუალება დაეხმარება საქართველოს რისკების გამოვლენაში, საფრთხეების წინასწარ განსაზღვრაში, შესაბამისი ზომების მიღებაში და, აქედან გამომდინარე, მიგრაციის უფრო სრულყოფილად მართვაში.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო პასუხისმგებელია რეინტეგრაციული საქმიანობის კოორდინაციაზე. 2016-2020 წლების „მიგრაციის სტრატეგიის“ გათვალისწინებით ეს ღონისძიებები გადაიხედა და გადახალისდა. საქართველოს მთავრობა თანდათანობით უფრო მეტ პასუხისმგებლობას იღებს რეინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობაზე. 2015 წელს მთავრობამ შეიმუშავა და ბიუჯეტის სახსრებით დააფინანსა რეინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამა. სწორედ ეს პროგრამა ჩაანაცვლებს „ევროპის სამეზობლოს ინსტრუმენტის“ ფარგლებში დაფინანსებულ „მობილურობის ცენტრების“ პროგრამას, როგორც კი ის ამოიწურება. 2016-2020 წლების „მიგრაციის სტრატეგიის“ შესაბამისად, „მობილურობის ცენტრების“ მდგრადი დაფინანსება და გაზრდილი შესაძლებლობები საშუალებას მისცემს მათ, დამოუკიდებლად განახორციელონ რეინტეგრაციაზე მიმართული სხვადასხვა სერვისი. ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ახალ ანალიტიკური დეპარტამენტში ჩამოყალიბდება ანალიტიკური ანგარიშების მომზადების სისტემა, რომლის საშუალებით შეგროვდება მონაცემები დაბრუნებულთა სრული რაოდენობის, მათი კვალიფიკაციისა და რეინტეგრაციის საჭიროებების შესახებ.

2015 წლის ივლისიდან დეკემბრამდე საქართველომ განახორციელა „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმისა“ და სამომავლო უვიზო რეჟიმის შესახებ გეგმით გათვალისწინებული ფართომასშტაბიანი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ღონისძიებები. თბილისსა და რეგიონებში ჩატარებულ შეხვედრებში, ტრენინგებსა და სხვა ღონისძიებებში 25 000 საქართველოს მოქალაქე იყო ჩართული. სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებული უფლებების და მოვალეობების შესახებ სხვადასხვა სახის საინფორმაციო მასალის – ლიფლეტების, ვიდეორგოლების და სოციალური ქსელებისთვის განკუთვნილი ინფოგრაფიკის – გავრცელებაში არაერთი მედიასაშუალება იყო გამოყენებული. ეს საქმიანობა გაგრძელდება „2013–2017 წლების ევროკავშირთან ინტეგრაციის და კომუნიკაციის სტრატეგიისა“ და „2016–2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის“ ფარგლებში.

საქართველოს მიერ მესამე მიმდინარე ანგარიშში გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულების ხარისხი დამაკმაყოფილებელია. მიგრაციის მართვის შესახებ ნიშნული მიღწეულად ჩაითვალა.

2.2.3. თავშესაფრის პოლიტიკა

მას შემდეგ, რაც მესამე მიმდინარე ანგარიშში თავშესაფრის სფეროს შესახებ ნიშნული ნაწილობრივ მიღწეულად ჩაითვალა, საგრძნობის წინსვლა აღინიშნებოდა ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების საკითხში.

სპეციალური შესწორებები იქნა შეტანილი საკანონმდებლო ბაზაში თავშესაფრის მაძიებელთა იმ კატეგორიის შესატანად, რომელიც აკმაყოფილებდა ჰუმანიტარულ საფუძველზე ვიზის გაცემის მოთხოვნებს. განხორციელების პროცესი უკვე დაწყებულია.

ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრაზე პასუხიმგებელმა ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ შეიმუშავა პროცედურების ხარისხის ინდიკატორები, რომლითაც მოხდება თავშესაფრის შესახებ განაცხადებზე მიღებული გადაწყვეტილებების ხარისხზე მონიტორინგი. დღეისათვის, პირადი ინტერვიუს ჩატარების ხარისხი მისი ჩანაწერის საშუალებით მოწმდება.

მნიშვნელოვანი ძალისხმევა იქნა განხორციელებული დაგროვილი განაცხადების რაოდენობის შემცირების საკითხში. ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ შეიმუშავა ეფექტური სტრატეგია, რომლის საფუძველზეც შემუშავდა თავშესაფრის მაძიებელთა წარმოშობის ქვეყნის შესახებ სახელმძღვანელო და მითითებები; ეს დოკუმენტები საშუალებას აძლევს განაცხადზე მომუშავე პირს, აიმაღლოს პროფესიონალიზმი ამ საკითხებში. 2015 წლის ოქტომბერში შესაძლებელი გახდა (2015 წლის მარტისთვის დაგროვილი) განსახილველი განაცხადების რაოდენობის შემცირება 1.174-დან ნორმალურ რაოდენობამდე – დაახლოებით 200 – და შენარჩუნებულ იქნა ხარისხიც. შემუშავდა საგანგებო სიტუაციის დაგეგმვის მექანიზმი, როდესაც, მაგალითად, ხდება თავშესაფრის მაძიებელთა მასიურად შემოსვლა. გათვალისწინებულია საბჭოს შექმნა, რომელიც გადაწყვეტს საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ადამიანური და

ფინანსური რესურსების გამოყოფის საკითხს ჭარბი რაოდენობის განაცხადების შესაძლო დაგროვების შემთხვევაში.

ლტოლვილის სტატუსის მისაღებად შემოსული დიდი რაოდენობის განაცხადებზე უსაფრთხოების მიზეზით უარის თქმის საკითხის მოსაგვარებლად, შესწორებები შევიდა „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ კანონის“ 25-ე მუხლში. შესწორება აზუსტებს სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე განაცხადზე უარის თქმის ახალ საფუძვლებს და ავალდებულებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, მიაწოდოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მინიმალური ინფორმაცია იმ თავშესაფრის მაძიებელთა შესახებ, რომლებიც სახელმწიფოსთვის შესაძლო საფრთხეს წარმოადგენენ.

ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრაში მონაწილე თანამშრომლებმა სხვადასხვა ტიპის შიდა და გარე ტრენინგის კურსები გაიარეს. ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში შექმნილი „ხარისხის კონტროლისა და ტრენინგის განყოფილება“ პასუხისმგებელი იქნება ტრენინგის სახელმწიფო პროგრამის შემუშავებაზე.

საქართველოში ახალი მონაცემთა ბანკის შემოღება, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სტატუსის მაძიებელთა წარმოშობის ქვეყნის შესახებ (COI) და უზრუნველყოფს წვდომას სხვადასხვა ქვეყნების ასეთივე მონაცემთა ბანკებთან, ხელს შეუწყობს მაღალი ხარისხის და განახლებული ინფორმაციის მოპოვების პროცესს. უფრო მეტიც, მოხდა განაცხადებზე მომუშავე თანამშრომლებისთვის წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის ძირითადი პრინციპების გაცნობა; დღეისათვის, საკანონმდებლო ჩარჩოში შეტანილი ცვლილება ნათლად წარმოაჩენს სხვაობას წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციასა და ამ სფეროში არსებული პოლიტიკას შორის.

ლტოლვილის სტატუსზე უარის გასაჩივრების საბოლოო ვადა 10-დან 15 დღემდე გაიზარდა, თუმცა, ის ვადა, რომელიც თითოეული ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მისაღებად მიეცა, ორ თვემდე შემცირდა.

მაძიებლისთვის უარის გასაჩივრების უფლების ეფექტურად გახორციელების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი უფასო იურიდიული დახმარების სისტემა თავშესაფრის მაძიებლებზეც გავრცელდა. 2016 წლის 1 იანვრიდან უზრუნველყოფილი იქნება მათი მომსახურება კვალიფიციური თანამშრომლით, უფასო იურიდიული დახმარებით და სასამართლოში მათი უფლებების დაცვით.

საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების სტანდარტული პროცედურა მოითხოვს ქართული ენის, ისტორიისა და კანონმდებლობის ძირითადი საფუძვლების% ცოდნას. ლტოლვილებისთვის შემუშავდა სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მათ ნატურალიზაციის პროცესზე პრაქტიკულ წვდომაში დაეხმარება.

საქართველოს მიერ უცხო ქვეყნის მოქალაქეების ინტეგრაციის საქმეში დღემდე მიღწეული მნიშვნელოვანი წინსვლის გათვალისწინებით „2016–2020 წლების მიგრაციის სტრატეგია“ ამ სფეროში მასშტაბური ამოცანების განხორციელებას ისახავს მიზნად.

სტრატეგიის თანმხლები სამოქმედო გეგმა ფინანსურ საჭიროებებს განსაზღვრავს გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად.

საქართველოს მიერ მესამე მიმდინარე ანგარიშში გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულების ხარისხი დამაკმაყოფილებელია. **თავშესაფრის პოლიტიკის ნიშნული შესრულებულად ჩაითვალა.**

2.3. ბლოკი 3: საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

2.3.1. ორგანიზებული დანაშაულის, ტერორიზმის და კორუფციის პრევენცია და მათთან ბრძოლა

2.3.1.1 ორგანიზებული დანაშაულის პრევენცია და მასთან ბრძოლა

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ნიშნული, რომელიც მიღწეულად იქნა მიჩნეული მესამე მიმდინარე ანგარიშში, შენარჩუნებულია.

2.3.1.2. ადამიანთა ტრეფიკინგი

მას შემდეგ, რაც მესამე მიმდინარე ანგარიშში ადამიანთა ტრეფიკინგის სფეროს შესახებ ნიშნული ნაწილობრივ მიღწეულად ჩაითვალა, საგრძნობის წინსვლა აღინიშნებოდა ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების საკითხში.

მოხდა ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის გაკუთვნილ ორადგილიან თავშესაფრებში გაწეული სერვისების გადახალისება ისე, რომ მომხდარიყო მათი მორგება ბავშვების საჭიროებებზე. მოხდა ახალი თანამშრომლების აყვანა ტრეფიკინგის მსხვერპლ არასრულწლოვნებზე და იმ ბავშვებზე ზრუნვის მიზნით, რომლებიც თავშესაფარში მშობლებთან ერთად ცხოვრობენ და ასევე იღებენ ინდივიდუალური სარეაბილიტაციო გეგმით გათვალისწინებულ დახმარებას.

სახელმწიფო ფონდის ხარჯეფექტურობის გასაზრდელად თავშესაფარში გაწეული სერვისები უფრო მოქნილი სქემით იქნება მიწოდებული და ტრეფიკინგის მსხვერპლის საჭიროებებს დაეყრდნობა. სერვისების შეთავაზების მიზნით შემუშავებულ ახალ ფორმაში ჩამოთვლილი იქნება სახელმწიფო ფონდის მიერ დაფინანსებული ყველა სახის მომსახურება და მარტივი იქნება გარკვევა, თუ რატომ ითქვა უარი ამა თუ იმ სერვისის მიწოდებაზე.

საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა შრომითი ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში. შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური საკითხების სამინისტროში 2015 წელს შეიქმნა შრომითი პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი, რომლის ინსპექტორებმა უკვე 75 კომპანია მოინახულეს. დღეისათვის შრომის ინსპექტორებს შეუძლიათ შევიდნენ კომპანიებში თუკი მათ აქვთ ეჭვი, რომ ხორციელდება ადამიანთა ტრეფიკინგი, შრომითი ექსპლოატაციიდან იძულებითი შრომა, თუმცა დეპარტამენტს სანქციების დაკისრების უფლებამოსილება არ აქვს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაააქტიურა სადაზვერვო მონაცემებზე დაფუძნებული ყველა სახის ექსპლოატაციის შემთხვევის გამოძიება. 2015 წლის იანვრიდან სექტემბრამდე წარმოებული 17 გამოძიებიდან 11 სწორედ პროაქტიული მიდგომის შედეგად ჩატარდა.

ტრეფიკინგის მსხვერპლი ქალებისგან მომსახურების მყიდველებისგან ჩვენების მიღების უზრუნველსაყოფად შესწორებები შევიდა სისხლის სამართლის კოდექსში, რითაც შესაძლებელი გახდა იმ პირთა დევნისგან გათავისუფლება, ვინც ტრეფიკინგში ჩართულ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში პოლიციასთან თანამშრომლობდა.

დღეისათვის, ტრეფიკინგის მსხვერპლთა, მოწმეთა და ტრეფიკინგში ეჭვმიტანილთა შესახებ **მონაცემები** და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია ერთიან მონაცემთა ბანკშია თავმოყრილი. ყველა ძირითად უწყებას ამ ინფორმაციაზე წვდომა აქვს და შეუძლია მისი ურთიერთგაზიარება.

ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის **ორი სხვადასხვა ცხელი ხაზის** – შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო ფონდის – არსებობა იმითაა **გამართლებული**, რომ ზოგიერთ პირს შესაძლოა დახმარების მიღება სურდეს სამართალდამცავ სტრუქტურებთან თანამშრომლობის გარეშე.

გააქტიურდა **პარტნიორობა** „ევროპოლის“ მიერ ტრეფიკინგის ძირითად მიმართულებად და წყაროდ აღიარებულ ქვეყნებთან პოლიციის ატაშეების დანიშვნისა და სამართლებრივ სფეროში ურთიერთდახმარების გზით.

საქართველოს მიერ მესამე მიმდინარე ანგარიშში გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულების ხარისხი დამაკმაყოფილებელია. **ადამიანთა ტრეფიკინგის ნიშნული მიღწეულად ჩაითვალა.**

2.3.1.3. კორუფციის პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა

მესამე მიმდინარე ანგარიშში **ანტიკორუფციული სფეროს ნიშნული ნაწილობრივ მიღწეულად ჩაითვალა.** მას შემდეგ საგრძნობის წინსვლა აღინიშნება ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების საკითხში.

2015 წლის 28 ოქტომბერს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო „**კანონი საჯარო სამსახურის შესახებ**“ და **46 კანონქვემდებარე აქტისგან შემდგარი საკანონმდებლო პაკეტი.** შესაბამისი სამართლებრივი აქტები 2017 წლის 1 იანვარს შევა ძალაში. კანონმდებლობის ერთ-ერთი მიზანი საჯარო სამსახურის დეპოლიტიზებაა. შეტანილი იქნა დამატებითი გარანტიები საჯარო სამსახურის ბიუროს ხელმძღვანელის დანიშვნისა და გათავისუფლების შესახებ დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების უზრუნველსაყოფად.

2015 წლის 28 ოქტომბერს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო შესწორებები კანონში „**საჯარო სამსახურში ინტერესთა კონფლიქტისა და კორუფციის შესახებ**“, რომელიც ადგენს ქონებრივი **დეკლარაციების მონიტორინგის** სამართლებრივ ბაზას და უფლებას აძლევს საჯარო სამსახურის ბიუროს, განახორციელოს პროცესის მონიტორინგი. ქონებრივი მდგომარეობის დეკლარირების სისტემა ხელს შეუწყობს ინტერესთა კონფლიქტისა და დაუსაბუთებელი ქონების გამოვლენისა და სანქციების დაწესების ახალი მექანიზმების შემოღებას. ზემოხსენებული შესწორებების საფუძველზე მოხდება დეკლარაციების მონიტორინგი შემდეგ სამ შემთხვევაში: ა) კორუფციის მაღალი რისკის ჯგუფში შემავალი უმაღლესი დონის ოფიციალური პირების დეკლარაციების მუდმივი

მონიტორინგი; ბ) დეკლარაციების მონიტორინგი გამჭვირვალედ, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით - ელექტრონული სისტემის გამოყენებით - რომელიც დაეყრდნობა დამოუკიდებელი კომისიის მიერ განსაზღვრული კონკრეტული რისკების კრიტერიუმებს; გ) საჯარო სამსახურის ბიუროში წარდგენილი, კარგად დასაბუთებული, წერილობითი საჩივრის/ინფორმაციის საფუძველზე.

შესწორებები „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონში“, რომლითაც შემოღებულ იქნა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კონტრაქტების სატენდერო პროცესისგან გათავისუფლების კრიტერიუმები, 2015 წლის 1 ნოემბერს შევიდა ძალაში. ახალი შესწორებები ადგენს გამარტივებული შესყიდვის წესით კონტრაქტის მინიჭების კრიტერიუმებს და მოითხოვს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანხმობას. გამარტივებული შესყიდვების შესახებ განაცხადები საჯაროა და ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია გამოხატოს თავისი აზრი მათ შესახებ.

მამხილებელთა (whistle-blowers) დაცვის საკითხი გათვალისწინებულია შესწორებებით, რომლებიც აფართოვებს მამხილებელთა სტატუსს და მათ შესახებ ინფორმაციის მიწოდების სისტემას. შესაბამისად, მამხილებელად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ნებისმიერი ადამიანი, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ის საჯარო მოხელე. კანონი ითვალისწინებს როგორც მამხილებლის ფუნქციის შესრულებას როგორც ანონიმურად, ისე კონფიდენციალურად.

ხელისუფლება განაგრძობდა GRECO –ს რეკომენდაციების სრულად შესრულებაზე მუშაობას.

საქართველოს მიერ მესამე მიმდინარე ანგარიშში გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულების ხარისხი დამაკმაყოფილებელია. კორუფციის პრევენციასა და მასთან ბრძოლის შესახებ ნიშნული მიღწეულად ჩაითვალა.

2.3.1.4. ფულის გათეთრება და ტერორიზმის დაფინანსება

მას შემდეგ, რაც მესამე მიმდინარე ანგარიშში ფულის გათეთრების შესახებ ნიშნული თითქმის მიღწეულად ჩაითვალა, საგრძნობის წინსვლა აღინიშნებოდა ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების საკითხში.

2015 წლის ივლისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო რამდენიმე შესწორება საზღვარზე ნაღდი ფულის მოძრაობის საკანონმდებლო ჩარჩოს განმტკიცების მიზნით. საზღვარზე ფულის მოძრაობის დეკლარირების სისტემის ფარგლები გაფართოვდა და ფიზიკური თუ იურიდიული პირების კუთვნილ ფულთან ერთად, ფოსტისა თუ გადამზიდვის საშუალებით გაგზავნილი თუ მიღებული ფულის დეკლარირების მექანიზმიც მოიცვა. თუკი პირი თავს აარიდებს დეკლარაციით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას, მას ადრინდელზე უფრო მაღალი ჯარიმის გადახდა მოუწევს. სანქციების შემაკავებელი ფუნქციის გასამდიერებლად, მათი მაქსიმალური ოდენობა სცდება 3 000 ლარს. საგადასახადო კოდექსის ახალი დებულებების თანახმად ჯარიმა შეიძლება განისაზღვროს ტრანსპორტირებული ოდენობის 10%-ით, თუკი თანხის საერთო ოდენობა 100 000 ლარი ან მეტია.

სისხლის სამართლებრივი დანაშაულის გზით მიღებული ქონების ჩამორთმევის მექანიზმის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, მთავარმა პროკურორმა რეკომენდაცია გამოსცა, რომლის მიხედვით სისხლის სამართლებრივი გამოძიების პროცესში განსახორციელებელ სხვა ღონისძიებებთან ერთად, პროკურორებს და გამომძიებლებს მიეცათ მითითება, მოიძიონ მოპასუხის და მისი ახლო ნათესავის ყველა სახის ქონება და უზრუნველყონ ჩამორთმევა, საპროცესო შეთანხმების შემთხვევაშიც კი. ამ საკითხების სამართალდამცავ ორგანოებთან და პროკურორებთან განსახილველად არაერთი ტრენინგი და მრგვალი მაგიდა მოეწყო.

2004 წლიდან ფუნქციონირებს ფინანსური ზედამხედველობის სამსახური, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით იღებს, ააანალიზებს და აგზავნის ანგარიშებს საექვო ტრანზაქციების შესახებ. 2015 წლის ოქტომბერში სამსახურმა მიიღო ორი ახალი თანამშრომელი და აპირებს დარჩენილ ვაკანსიებზე დამატებითი თანამშრომლების აყვანას.

საქართველოს ეროვნული ბანკი ზედამხედველობას უწევს ყველა საფინანსო ინსტიტუტს, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა და კერძო საპენსიო ფონდებისა. ეროვნული ბანკის მეთოდოლოგიისა და დისტანციური ზედამხედველობის განყოფილებაში ექვსი ახალი თანამშრომლის აყვანის გზით მოხდა ამ სამსახურის გაძლიერება. დაზღვევაზე ზედამხედველობის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტში, რომელიც სადაზღვევო კომპანიებსა და კერძო საპენსიო ფონდებს კურირებს, შეიქმნა ახალი, დამოუკიდებელი დისტანციური მონიტორინგის განყოფილება.

ფინანსური ზედამხედველობის სამსახურის მიერ ახლახანს ჩატარებული ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული ღონისძიებები ძირითადად იურისტებისთვის იყო გათვალისწინებული. მათ შორის იყო კლიენტთა მიმართ სიფრთხილის ზომების თემაზე ტრენინგ-სემინარების ჩატარება და ფულის გათეთრების პრევენციის შესახებ გზამკვლევის შემუშავება. სამომავლო ღონისძიებებში დაგეგმილია ბუღალტრებისა და აუდიტორების მონაწილეობა.

საქართველოს მიერ მესამე მიმდინარე ანგარიშში გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულების ხარისხი დამაკმაყოფილებელია. ფულის გათეთრების შესახებ ნიშნული მიღწეულად ჩაითვალა.

2.3.1.5. ნარკოტიკები

მას შემდეგ, რაც მესამე მიმდინარე ანგარიშში ნარკოტიკების შესახებ ნიშნული თითქმის მიღწეულად ჩაითვალა. საგრძნობის წინსვლა აღინიშნებოდა ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების საკითხში.

მნიშვნელოვანი წინსვლა აღინიშნა საქართველოს მიერ ეროვნული ანტინარკოტიკული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებაში, რომელიც ითვალისწინებს როგორც მოთხოვნის შემცირებაზე ორიენტირებული პოლიტიკის წარმართვას, ისე მიწოდების შემცირებაზე ორიენტირებულ ღონისძიებებს. შესწორება შევიდა სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლში, რითაც მოხდა ნარკოტიკის შენახვისა და

გავრცელებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობების ერთმანეთისგან გამოიჯვანა. ნარკოტიკების ფლობისა და შენახვისთვის მაქსიმალური სასჯელი - 11 წლით პატიმრობა - 6 წლით შეიცვალა. მას შემდეგ, რაც 2015 წლის 31 ივლისს ეს შესწორება იქნა მიღებული, პრაქტიკაში უმეტესად გამოიყენებოდა არასაპატიმრო სანქციები, რომელთა დაკისრება 260-ე მუხლის საფუძველზე, ნარკოტიკების ფლობისა და შენახვისთვის ხდებოდა.

საქართველოს კანონმდებლობაში საკმარისი გარანტიებია ნარკოტესტირების ჩატარებისას პირის პოლიციის თავნებობისგან დასაცავად. შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ 2015 წლის 30 სექტემბერს გამოცემული ბრძანების საფუძველზე, გამკაცრდა დაუგეგმავი/შემთხვევითი (random) ნარკოტესტირების ჩატარების პირობები. აღარ არის საკმარისი გონივრული საფუძველი, რომ თითქოს პირმა ნარკოტიკები მოიხმარა, ამიტომ, დაუგეგმავი/შემთხვევითი ნარკოტესტირების ჩატარების დასასაბუთებლად სხვა მტკიცებულებებიც უნდა იყოსწარმოდგენილი. უფრო მეტიც, შესაძლებელია ტესტირების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა მონიტორინგის სამსახურში, ადმინისტრაციულ სასამართლოში და/ან პროკურატურაში.

საქართველოს მიერ მესამე მიმდინარე ანგარიშში გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულების ხარისხი დამაკმაყოფილებელია. ნარკოტიკების სფეროს ნიშნული მიღწეულად ჩაითვალა.

2.3.2. თანამშრომლობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების საკითხებში

ეს ნიშნული, რომელიც მესამე მიმდინარე ანგარიშის მიხედვით შესრულებულად ჩაითვალა, კვლავაც შესრულებულად ითვლება.

2.3.3. თანამშრომლობა სამართალდამცველ უწყებებს შორის

მას შემდეგ, რაც მესამე მიმდინარე ანგარიშში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროს შესახებ ნიშნული თითქმის მიღწეულად ჩაითვალა. საგრძნობის წინსვლა აღინიშნებოდა ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების საკითხში.

2015 წლის მაისში ჩამოყალიბდა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანი იყო კონცეფციის შემუშავება რისკების ანალიზის ერთიანი მექანიზმისთვის, რომელიც სადაზვერვო ინფორმაციაზე დაფუძნებული საპოლიციო ფუნქციების განხორციელებას ითვალისწინებდა. კონცეფცია 2015 წლის 22 ოქტომბერს დამტკიცდა, ხოლო სამუშაო ჯგუფმა დაიწყო ღონისძიებათა იმ დეტალური სამუშაო გეგმის შემუშავება, რომლის მიღება ხელს შეუწყობს რისკების შეფასების სამომავლო სისტემის განხორციელებას. ამის საფუძველზე საფრთხეების შეფასების შესახებ ყოვლისმომცველი ანგარიშების მომზადებამ ხელი უნდა შეუწყოს დანაშაულის სამომავლო ტენდენციების განსაზღვრასა და მათი აღმოფხვრის გზების დასახვას.

ახლახანს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა და თანამშრომლებს – თბილისსა და რეგიონებში – წარუდგინა ახალი მითითებები საერთაშორისო თანამშრომლობის

სფეროში უკვე არსებული რესურსებისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ. შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მთავარი პროკურატურის აპარატს დაურიგდა საინფორმაციო ბუკლეტები „ინტერპოლის“ ფარგლებში არსებული თანამშრომლობის მექანიზმების შესახებ; მოეწყო სხვადასხვა უწყებებში მომუშავე გამომძიებელთა ერთობლივი ტრენინგი იმ შესაძლებლობების განსახილველად, რომლებსაც სამართალდამცავ სტრუქტურებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობის ჩარჩო ითვალისწინებს.

საქართველოს მიერ მესამე მიმდინარე ანგარიშში გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულების ხარისხი დამაკმაყოფილებელია. სამართალდამცავ უწყებათა თანამშრომლობის სფეროს ნიშნული მიღწეულად ჩაითვალა.

2.3.4. მონაცემთა დაცვა

მონაცემთა დაცვის ნიშნული, რომელიც მიღწეულად იქნა მიჩნეული მესამე მიმდინარე ანგარიშში, შენარჩუნებულია.

2.4. მე-4 ბლოკი: საგარეო ურთიერთობები და ფუნდამენტური უფლებები

2.4.1. საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილების თავისუფლება

საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილების თავისუფლების ნიშნული, რომელიც მიღწეულად იქნა მიჩნეული მესამე მიმდინარე ანგარიშში, შენარჩუნებულია.

2.4.2. სამგზავრო და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის პირობები და პროცედურები

ეს ნიშნული, რომელიც მიღწეულად იქნა მიჩნეული მესამე მიმდინარე ანგარიშში, შენარჩუნებულია.

2.4.3. მოქალაქეთა უფლებები, მათ შორის უმცირესობათა დაცვა

მას შემდეგ, რაც მესამე მიმდინარე ანგარიშში მოქალაქეთა უფლებების სფეროს შესახებ ნიშნული თითქმის მიღწეულად ჩაითვალა. საგრძნობი წინსვლა აღინიშნებოდა ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების საკითხში.

სახალხო დამცველის ოფისის პატრონაჟით საქართველომ დაიწყო და მთელი ქვეყნის მასშტაბით აგრძელებს სხვადასხვა მედიასაშუალებებით საინფორმაციო კამპანიების წარმართვას თანასწორობის, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების საკითხებზე. 2015 წლის 17 აგვისტოს მიღებულ იქნა 2015–2020 წლების სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის ახალი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. წინა სტრატეგიის ახლით ჩანაცვლება სიღრმისეული შეფასებისა და ძირითად მოთამაშებთან ფართომასშტაბიანი კონსულტაციების შედეგად განხორციელდა. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს ახორციელებს უწყებათაშორისი სახელმწიფო კომისია. იგივე კომისია გაუწევს მეთვალყურეობას 2020 წლისთვის შედეგების მიღწევის პროცესს. გეგმაში ასახული თითოეული ღონისძიების ადექვატური დაფინანსება შესაბამის სფეროზე პასუხისმგებელმა სახელმწიფო უწყებამ უნდა უზრუნველყოს.

ახალ სტრატეგიაში ძირითადი ყურადღება ეთმობა ეთნიკური უმცირესობების წვდომას გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე, პოლიტიკურ ცხოვრებასა და საჯარო სერვისებზე, მათ შორის ენობრივი ბარიერის დაძლევის გზით. ყველა შესაბამისმა სამინისტრომ და სახელმწიფო უწყებამ ერთობლივად იზრუნა, რომ უმცირესობების წარმომადგენლები უკეთ ყოფილიყვნენ ინფორმირებულნი თავიანთი უფლებების შესახებ, უფრო ხელმისაწვდომი გამხდარიყო მათთვის განათლება და უკეთ შეძლებოდათ კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება.

საქართველო აგრძელებდა **სამართლის სფეროს სპეციალისტთა** ტრენინგს ადამიანის უფლებების, თანასწორობის და დისკრიმინაციის აღმოფხვრის საკითხებში. ტრენინგ-კურსები, რომლებიც ძირითადად პროკურორებისთვის, მოსამართლეებისთვის და შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური პირებისთვისაა განკუთვნილი, სამოქალაქო საზოგადოებასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დონორებთან ერთადაა მომზადებული.

2015 წელს შესაბამისი ყურადღება დაეთმო სახალხო დამცველის მიერ წარდგენილ საკანონმდებლო ინიციატივებს. საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა, ასევე, იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა ითანამშრომლეს და მხარი დაუჭირეს იმ შესწორებებს, რომლითაც კერძო პირებს, მათი საქმეების განსახილველად, საჭირო მასალების, დოკუმენტების და ინფორმაციის სახალხო დამცველისთვის მიწოდება მოეთხოვებათ.

საქართველოს მიერ მესამე მიმდინარე ანგარიშში გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულების ხარისხი დამაკმაყოფილებელია. **მოქალაქეთა უფლებების სფეროს ნიშნული მიღწეულად ჩაითვალა.**

3. საერთო შეფასება შემდგომი ნაბიჯები

2012 წლის ივნისში ევროკავშირსა და საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის შესახებ დიალოგის დაწყებისა და 2013 წლის თებერვალში ევროკავშირის მიერ საქართველოს მთავრობისთვის „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ წარდგენის შემდგომ, ევროკომისია რეგულარულად აწვდიდა ანგარიშებს ევროპარლამენტსა და ევროკავშირის საბჭოს. ეს ანგარიშები შეეხებოდა „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ პირველი და მეორე ფაზების ფარგლებში განსაზღვრული და ოთხი ბლოკად დაჯგუფებული ნიშნულების შესრულების პროცესში საქართველოს მიერ მიღწეულ წინსვლას.

ევროკომისია აგრძელებდა საქართველოს მიერ მიღწეული წინსვლის მონიტორინგს „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით“ განსაზღვრულ სფეროებში შემდეგი ფორმატების საშუალებით:

- მაღალი რანგის ოფიციალური პირების შეხვედრა ევროკავშირი–საქართველოს სავიზო დიალოგის ფარგლებში;
- ევროკავშირი–საქართველოს ერთობლივი კომიტეტი ვიზების გამარტივების სფეროში;

- ევროკავშირი–საქართველოს ერთობლივი კომიტეტი რეადმისიის სფეროში;
- ევროკავშირი–საქართველოს ქვეკომიტეტის სხდომები სამართლის, თავისუფლების და უსაფრთხოების სფეროში;
- ევროკავშირსა და საქართველოს შორის მაღალი დონის შეხვედრა მობილურობის სფეროში პარტნიორობის საკითხებზე და
- ევროკავშირსა და საქართველოს შორის დიალოგი ადამიანის უფლებების სფეროში.

თითოეული ამ კომიტეტისა თუ დიალოგის ფარგლებში ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობა რეგულარულად განიხილება. ახლახანს, 2015 წლის 13 ოქტომბერს, ბრიუსელში გამართული ვიზების გამარტივებისა და რეადმისიის კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე, რომელსაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, ითქვა, რომ ამ ორი შეთანხმების განხორციელება მთლიანობაში ძალზე დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა.

ევროკავშირსა და საქართველოს სავიზო დიალოგი მნიშვნელოვანი და განსაკუთრებით ეფექტური საშუალება აღმოჩნდა მართლმსაჯულების, შინაგან საქმეთა და მათთან დაკავშირებულ სფეროებში რთული და გრძელვადიან პერსპექტივაზე ორიენტირებული რეფორმების განხორციელების პროცესში. ის გავლენას ახდენს კანონის უზენაესობისა და მართლმსაჯულების სფეროებზე. „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმაში“ მოცემული ნიშნულების მიღწევასთან ერთად, საქართველომ შემდგომი ნაბიჯები გადადგა სასამართლო სისტემისა და პროკურატურის რეფორმირების საქმეში. ამ საკითხებზე მონიტორინგი ხდება სხვა ტიპის დიალოგების ფორმატებში, როგორცაა, მაგალითად, ასოცირების კომიტეტი და ასოცირების საბჭო; მონიტორინგი ასოცირების დღის წესრიგის კონტექსტშიც გაგრძელდება.

ბოლო სამი წლის განმავლობაში საქართველომ მიაღწია მდგრად და ეფექტურ წინსვლას „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ ოთხი ბლოკით გათვალისწინებულ ყველა სფეროში. ეს წინსვლა არის დასტური საქართველოს მთავრობის და ყველა სახელმწიფო უწყების მზაობისა და მუდმივი ძალიან მეტისა, რომლის წყალობით „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ შესრულება ქვეყნის უმთავრესი სახელმწიფო პრიორიტეტი გახდა.

საქართველომ საკმარისი ფინანსური და ადამიანური რესურსები დაუთმო რეფორმების მდგრადობის უზრუნველყოფას. ამ პროცესში ევროკავშირსაც შეაქვს წვლილი, კერძოდ, „საზღვრის მართვის და მიგრაციის მართვის შესაძლებლობების გაზრდის პროგრამის“ საშუალებით, რომლისთვისაც ევროკავშირმა 16 მლნ ევრო გამოყო. ასევე, ხორციელდება პროგრამა „ადამიანის უფლებები ყველასთვის“, რომელიც ეხმარება უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების დაცვას, ზრდის პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორის შესაძლებლობებს და უზრუნველყოფს შრომის ადმინისტრაციის ეფექტურ ფუნქციონირებას. „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში რეფორმების პროცესის მხარდაჭერა მოხდება სამომავლო „ტექნიკური თანამშრომლობის მექანიზმით“, რომელიც მოიცავს მიგრაციის მართვას, ორგანიზებული დანაშაულისა და ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას. ევროკავშირის მთელი ეს დახმარება „ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტის“ (ENI) ფარგლებში გამოიყო.

ჩატარდა ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია, რომელიც მიზნად ისახავდა უვიზო რეჟიმთან დაკავშირებული ვალდებულებებისა და უფლებების განმარტებას.

„2014–2017 წლების ევროკავშირის ინტეგრაციის და კომუნიკაციის სტრატეგიისა“ და „2016–2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის“ ფარგლებში დაგეგმილია კამპანიის გაგრძელება ვიზების ლიბერალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე და მის შემდგომ.

„სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ განხორციელების შესახებ ევროკომისიამ სამი მიმდინარე ანგარიში წარმოადგინა. მესამე ანგარიშმა დაადასტურა, რომ საქართველომ მიერ ჩატარებული სამუშაო მთლიანობაში შეესაბამებოდა „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ ოთხი ბლოკით გათვალისწინებულ ყველა ნიშნულს; ანგარიშში განსაზღვრული იყო ასევე ის ღონისძიებები, რომელთა განხორციელების შემთხვევაში საქართველოს მიერ „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ მეორე ფაზით გათვალისწინებული ყველა ნიშნული მიღწეული იქნებოდა.

ევროკომისია მიიჩნევს, რომ მესამე ანგარიშის შემდგომ, საქართველომ განახორციელა საჭირო წინასვლა და ყველა საჭირო რეფორმა გაატარა დარჩენილი ნიშნულების ეფექტურად მიღწევისა და მდგრადობის შენარჩუნების მიზნით. მესამე მიმდინარე ანგარიშით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება განხორციელებულია. საკანონმდებლო და პოლიტიკური ჩარჩო, ორგანიზაციული და ინსტიტუციული პრინციპები და ოთხივე ბლოკით გათვალისწინებული პროცედურები შეესაბამება როგორც ევროკავშირის, ისე საერთაშორისო სტანდარტებს.

წინამდებარე შეფასებაზე დაყრდნობით, ასევე, საქართველოს და ევროკავშირს შორის „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ შესახებ პირველი დიალოგის (2012 წლის ივნისში) შემდეგ განხორციელებული უწყვეტი მონიტორინგისა და ანგარიშების შედეგების გათვალისწინებით, **ევროკომისია მიიჩნევს, რომ საქართველომ მიაღწია ყველა ნიშნულს, რომელიც „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ მეორე ფაზის ოთხივე ბლოკით იყო გათვალისწინებული.** ევროკავშირსა და საქართველოს შორის არსებული ზოგადი ურთიერთობების გათვალისწინებით, 2016 წლის დასაწყისში ევროკომისია წარმოადგენს საკანონმდებლო წინადადებას რეგულაციაში (EC) No 539/2001 შესწორების შეტანის თაობაზე.

ევროკომისია გააგრძელებს საქართველოს მიერ „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ ოთხივე ბლოკით გათვალისწინებული ნიშნულების მიღწევის უწყვეტი პროცესის აქტიურ მონიტორინგს, არსებული ასოცირებული ფორმატით გათვალისწინებული სტრუქტურებისა და დიალოგების, და, საჭიროების შემთხვევაში, დაუგეგმავი შემოწმებების მექანიზმები გამოყენებით.